შაბათი, 20 მარტი 1910 წ. № 38

# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. სამი თვით: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის" კანტორაში. ბათუმში, სამტრედიაში და ყვირილაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

ევგენი პეტრესძე გეგეჭკორი (სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი), ოლღა ფილიპეს ასული გეგეჭკორისა, თ-დნი აქსენტი, კონსტანტინე, გრიგოლი ხახუიძენი და კნ. ესმა მანუჩარის ასული, ვალერია გიორგის ასული და ეპრაქსია საჩინოს ასული ფაღავეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ხანგძლივ ავათმყოფობის შემდეგ, გარდაცვალებას: პირველი უძვირფასესი დედისა, მეორე დედამთილისა, მესამენი საყვარლის დისა და მეოთხენი მულისა

### მართა ხახუს ასული გეგეჭკორისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. თავის ოჯახში ს. მარტვილში. გამოსვენება კვირას, 21 მარტს 3 საათზე დაკრძალვა ნახარებოუს მონასტერში. 2—2

კვირას, 21 მარტს, წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

### ელისაბედ მიხეილის ასული რცხილაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უზომოთ დამწუხრებულნი: განსვენებულის მეუღლე იროდიონ სტეფანესძე რცხილაძე და შვილები: ვასილი, ივანე, ზაქრო, თამარა, სტეფანე, ნიკოლოზ, ელენე, ნინა, ირაკლი და ვახტანგი. 2—2

ქართული თეატრი

**შაბათს, 3 აპრილს, წარმოდგენილი იქნება:**

I

### ბებრის სადღეღრძელი

ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია ცაგარელი, ტ. აბაშიძე და ბ-ნი ვ. აბაშიძე.

II

### საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არტისტი ქალი **კოლოტოვისა**, ბ ნნი **ევლახიშვილი, ივანე სარაჯიშვილი და პალცევი.**

სხვათა შორის შეასრულებენ: 1) კოლოტოვისა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტოდან"; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან"; 3) ევლახიშვილი ორკესტრით—არიას (სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან"; 4) სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან"; 5) ევლახიშვილი—ოპერა „დონ-ჟუანიდან".

ამავე საღამოს ბ-ნი **სარაჯიშვილი** პირველად შეასრულებს ორკესტრით **არაყიშვილის** ახალ ოპერიდან, **«შოთა-რუსთაველიდან»** მგოსნის არიას, ტექსტი ხახანაშვილისა.

ყველა ზემორე ნახსენები ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულათ იქნება შესრულებული.

წარმოდგენისა და კონცერტის მოთავე **ი. კარგარეთელი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

### მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ.

ამით მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ცნობილი

## ძმ. პასხალიდების

აბრეშუმის თესლი

წელს აქვთ მინდობილი გასასყიდათ შემდეგ ფირმებს:

**ბათუმში**: მ. ს. მანუილიდს ზღვისპირის ქუჩაზე., ამხანაგობა „იმედს" მიხაილოვის ქუჩაზე, და მ. გ. რუსიძეს მარიინსკი პროსპექტზე. **სამტრედიაში**: პორფილე ჭეიშვილს. **ხონში**: ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას (სოფელ კუხში) **ქუთაისში**: კონსტ. ოქ-ძე მელაშვილს. **ახალსენაკში**: ა. ბ. ჩაჩიბაიას და გ. ი. სალაყაიას.

როგორც გასულ წელს, ისე ამ წელსაც „ძმ. პასხალიდების" მიერ ქუთაისის გუბერნიისათვის აბრეშუმის თესლი საგანგებოთ დამზადებულია, ქუთაისის გუბერნიის

### პირველ მეაბრეშუმეთა ამხან. დაკვეთით

კავკასიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი „ძმათა პასხალიდების" ფირმისა

მ. ს. **მანუილიდი.** (12—6)

6 აპრილს 1910 წელს დღის 12 საათზე

### თფილისის ქალაქის სამმართველო

ნიშნავს იჯარით ვაჭრობას ნავთის და მაზუთის მიწოდების შესახებ ქალაქის სხვა და სხვა დაწესებულებებისათვის. მაზუთი საჭიროა 60 ათასი ფუთი, ხოლო ნავთი 22 ათასი ფუთი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს განცხადება, დახურული კონვერტით ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში და შემოიტანოს კასაში ბეთ 500 მანეთი. კონდიციების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში დილის 10 საათიდან 2 საათამდე კვირა-უქმე დღეებს გარდა. 3—1

კბილის ექიმი

### რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

### ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15

### მკერვალი ქალი

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა **დაკლებულ ფასებში.**

ადრესი: Казбекская № 10 0—8

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის**

### „ცინკოგრაფია"

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში.** (0—16)

**სახალხო უნივერსიტეტი**

**სახალხო სახლში**

კვირას, 21 მარტს შესდგება ორი ლექცია.

I

**ნ. ე. ერმოლაევი** წაიკითხავს მე-2 პოპულიარულ ლექციას:

**პოლიტიკურ ეკონომიაზე.**

II

**ი. ბაევი** წაიკითხავს გენრიხ იბსენის

### ბრანდზე

პირველი ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე, მეორე—12 ნახ. საათზე. შესასვლელი ფასი თითო ლექციაზე 5—10 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

## თფილისი, 20 მარტი.

დღეის ახალმა თავმჯდომარემ, გუჩკოვმა თავის პირველ სიტყვაში გაკვრით მოიხსენია, რომ მოკლე ხანში მთავრობა შემოიტანს ახალ კანონ-პროექტებს, რომლებიც შეეხებიან ძირითად კანონებსო. ასეთ კანონ-პროექტათ უნდა ჩაითვალოს 17 მარტს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ დუმაში შეტანილი კანონი, რომელიც ამყარებს ფინლიანდიის შესახებ საერთო სახელმწიფოებრივ სახის კანონების გამოცემის ახალ წესებს.

შარშან 100 წელიწადი შესრულდა რაც ფინლიანდია რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენს და ამავე დროს ის თვითონ, რუსეთის მთავრობისგან დამოუკიდებლათ, განაგებს თავის საქმეებს. ფინლიანდიის ასეთი მდგომარეობა, მისი კულტურის დაუბრკოლებრივი ზრდა „წმინდა რუსებს" დიდი ხანია გულზე ესობოდა, მათ მოსვენებას არ აძლევდა, რამდენჯერმე ცდაც იყო არსებული წესების შესაცვლელათ, მაგრამ ამის წინააღმდეგ თავგანწირულათ იბრძოდენ თვით ფინლიანდიელები, რომლებსაც მხარს უჭერდა რუსეთის პროგრესიული ნაწილი და ევროპიელები. ის, რაც შეუძლებელი იყო მინისტრ პლევეს ბატონობის დროს, როცა სახალხო წარმომადგენლობის ჭაჭანებაც არ იყო, მოსახერხებელი შეიქნა ახლა, როცა სუფევს მე-3 დუმა, ესეც ერთგვარი ფორმა სახალხო წარმომადგენლობისა. სანამ მინისტრი სტოლიპინი ხსენებულ კანონ-პროექტს დუმაში შეიტანდა, მას წინ უძღოდა ევროპის ბურჟუაზიის ვითომდა მოსატყუებლათ რაღაც ფორმალური მხარეები: შედგა შერეული კომისია, რომლებშიც შევიდენ რუსეთის ბიუროკრატიის წარმომადგენლები და ფინლიანდიის მხრით რამდენიმე ზომიერი ელემენტი, რომლებსაც ერმანეთის თანხმობით უნდა შეემუშავათ ახალი წესები საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის კანონების გამოსაცემათ. მაგრამ პირველ სხდომაზვე რუსეთის ბიუროკრატები და ფინლიანდიის საზოგადო მოღვაწენი როგორც ქვა და სეტყვა, ისე შეხვდენ ერთმანერთს, მათში საერთო არაფერი მოინახა. ფინლიანდიელები ერთ წუთსაც არ სტოვებდენ იმ უფლებრივ ნორმებს, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდენ მსგავსი კანონების გამოცემის წესები: ისინი უწინარეს ყოვლისა უნდა იქნენ განხილულნი ფინლიანდიის სეიმში და მის დადგენილების წინააღმდეგ არავითარ ახალ წესებს კანონის ხასიათი არ მიეცემათ. სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებენ რუსეთის ბიუროკრატები: ფინლიანდიის სეიმს ამ კითხვაში ეკუთვნის მხოლოდ სათათბირო ხმა, გადამწყვეტი ძალა კი არის რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებანი—სახელმწიფო დუმა, სახელმწიფო საბჭო და მონარქიო. ამ ნიადაგზე შეუთანხმებლობამ გამოიწვია პირველი საერთო კრების შეწყვეტა და წარსულ წელს კიდევ მეორეთ შეიყარენ ვითომ შესათანხმებლათ, მაგრამ რომელ შეთანხმებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი მაშინ, როცა ბიუროკრატებმა უკვე წარუდგინეს ფინლიანდიელებს მზა-მზარეული კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ფინლიანდიის სეიმს მხოლოდ სამეურნეო კულტურულ კითხვების გადაწყვეტის კომპეტენციას უტოვებენ, დანარჩენ კითხვებში მას რჩება მხოლოდ სათათბირო ხმა. ამ წინადადებაზე აბა როგორ დათანხმდებოდენ ფინლიანდიელები? ეს ხომ თავის ნებით ყელის გამოჭრა იქნებოდა. ამ დღიდან იწყება ერთი მხრით რუსეთის მთავრობის მიერ ჩუმათ კაბინეტურათ ახალი წესებისათვის საჭირო კანონ-პროექტის გამომუშავება, მეორე მხრით კი, ფინლიანდიელების ლეგალური პროტესტი შიგნით და გარეთ მომავალი საფრთხის წინააღმდეგ. თვით ფინლიანდიაში იმართება მრავალ-რიცხოვანი მიტინგები, საცა ერთხმათ, მიმართულების განურჩევლათ გამოაქვთ დადგენილება რუსეთის მთავრობის უკანონო ნაბიჯების წინააღმდეგ. ფინლიანდიელები არ კმაყოფილდებიან შინაური პროტესტებით, ისინი ევროპის საუკეთესო მეცნიერთა და მოღვაწეთა აზრს იშველიებენ, შეიძლება ამან უფრო გასჭრას რუსეთის ბიუროკრატიაზეო, მაგრამ ამაოთ! გერმანიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის და ინგლისის გამოჩენილი მეცნიერების აზრი ფინლიანდიის ძირითად უფლებების შესახებ სრულიად უყურადღებოთ დასტოვა რუსეთის მთავრობამ და თავის გზას ოდნავაც არ გადაუხვია: სიტყვა საქმეთ აქცია და 17 მარტს დუმაში ფინლიანდიის შესახებ ახალი კანონ-პროექტი წარადგინა. მერე როგორ შეხვდა მე-3 დუმა მთავრობის კანონ-პროექტს? მესამე დუმას ჩვენ ახლა კარგათ ვიცნობთ, ვიცით მისი სისუსტეც და სიძლიერეც; ძლიერია მისი უმრავლესობა მაშინ, როცა ებრძვის განმათავისუფლებელ მოძრაობას, ართმევს საუკუნოებით მოპოვებულ უფლებებს განაპირა ქვეყნებს; სუსტია მაშინ, როცა უნდა გამოიჩინოს რამე შემოქმედებითი ნიჭი, შექმნას ისეთი რამ, რომელიც წინ წასწევს რუსეთის სოციალურ პოლიტიკურ ცხოვრებას. ფინლიანდიის უფლებების შეკვეცის კითხვაში, რასაკვირველია, გამოიჩინა სიძლიერე, გამოიჩინა ერთ-სულოვნება ისეთი, რომელიც ერთი ხანია აღარ გვინახავს მესამე დუმისაგან. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ კითხვაში მთავრობა და დუმის უმრავლესობა ისეთ ნაირათ შეთანხმდენ, რომ გარეშე მაყურებელი განცვიფრებაშივარდება, როდესაც ადარებს დუმის ამ სხდომას სხვებთან: აქ მთავრობა მზათაა დუმის უფლება გაადიდოს, ძირითადი კანონებიც კი დაარღვიოს, ის სცნობს დუმის უაღრესობას თავის თავზე; უკიდურესი მემარჯვენეების ბელადი მარკოვი მეორე დუმის მოსარჩლე გამოდის ზომიერ და უკიდურეს მემარცხენეთა წინააღმდეგ, თითქოს ისინი იყვენ მოწადინებულნი დუმის არსებობაში; ოქტომბრისტებს, რა თქმა უნდა, უხარიათ ახალი უფლებების შემატება ფინლიანდიის კულტურის გასრესის კითხვაში! მოკავშირეთა ერთსულოვნებამ ოპოზიციის სასტიკი დატაკებისა და სურვილის წინააღმდეგ თავისი გაიტანა: ახალი კანონ-პროექტი დუმის კომისიაში, 21 წევრისგან შემდგარში, გადასცეს. ესაა პირველი ნაბიჯი, რომელიც საშინელ რამეს უქადის ფინლიანდიის კულტურას და მის წინმსვლელობას

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მარტი.

**ოსმალეთი**

**სალონიკი.** 16 მარტს ოსმალეთ-ჩერნოგორიის საზღვარზე სოფელ ვინიტსკის სელიაკი ჩერნოგორიელები თავს დაესხენ ოსმალთა პოსტს. სროლა ორი საათი გაგრძელდა, არავინ დაშავებულა.

**საზღვარ გარეთ**

**ვენეცია.** ტარნოვსკაის საქმე. დილის სხდომაზე პეტერბურგის ჟურნალისტი ტაბურინო კარგათ იხსენიებს პრილუკოვს. მას ვერ წარმოუდგენია, რომ პრილუკოვმა მოაწყო ეს მკვლელობა. რევოლიუციის დროს მოსკოვში, თუმცა პრილუკოვი რევოლიუციონერი არ იყო, მაგრამ მაინც ჩააბარეს რევოლიუციონერების კასა, სადაც ბლომა ფული იყო. შემდეგ ვერავინც ვერ მოსთხოვდა მას ამ ფულებს, მაგრამ თვითონ დააბრუნა უკლებლივ. პრილუკოვი კარგი ვექილი იყო და ბევრ ფულებს შოულობდა. ტაბურინო ლაპარაკობს ბორჟევსკის მოკვლის შესახებ. ამბობს, რომ ცოლ-ქმარნი ტარნოვსკები ცუდ განწყობილებაში იყვენ. ოლა კირიმენკო, რომელიც ბავშვობიდან იცნობდა ტარნოვსკაიას ამბობს, რომ ის ძალიან შეწუხდა როცა კომაროვსკის მოკვლის შესახებ დეპეშა მიიღო. საღამოს სხდომა. ტარნოვსკაია ხშირათ შესჩიოდა დედას ქმარი ცუდათ მექცევაო, ერთხელ ნახა, რომ პრილუკოვმა მას ფულები გადასცა. პრილუკოვი ამას ამოწმებს, ტარნოვსკაია უარს ყოფს. პროკურორი ამბობს, რომ პრილუკოვმა ტარნოვსკაიას გულისთვის გაფლანგა ფულები, ტარნოვსკაია უარს ყოფს და ამბობს, რომ როცა გაიგო უკანვე დაუბრუნა ფულები. მოსამსახურე რომელიც ტარნოვსკაიას მამის ოჯახში 15 წელიწადი ცხოვრობდა კარგათ იხსენიებს ტარნოვსკაიას და ამბობს, რომ ტარნოვსკი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. სასამართლო შეუდგა კომაროვსკის გვამის გაჭრის შესახებ ოქმის კითხვას.

**ბრესლავლი.** ენზაუა შტრასსეს ქუჩაზე ერთ სახლში გაზი აფეთქდა. სიძლიერით კარები მოსწყდა და ქუჩაში გამვლელს თავი გაუჭეჭყა. სახლი დაინგრა. ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს 8 მკვდარი და მძიმეთ დაჭრილი.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** შეერთებულ თავად-აზნაურთა სიეზდმა მოისმინა რა გრაფ ბობრინსკის მოხსენება სახელმწიფო დუმაში არსებულ საზოგადოებრივ წეს-წყობილების წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ, დაადგინა წარუდგინოს კითხვა მთავრობას განსახილველათ, ღრმათ დარწმუნებულნი, რომ ის ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ არა ნორმალურ მოვლენას, რაც ხელს უშლის რუსეთის მშვიდობიან განახლებას.

**კიევი.** ვინნიცის ახლოს ექვსი შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა მგზავრებს. გაძარცვეს ყველანი, ერთი მათგანი მძიმეთ დასჭრეს და გაიქცენ.

**რიგა.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სესიამ დაიწყო რიგის მაზრის ადარუნდსკის ვოლოსტის რევოლიუციონურ ორგანიზაციის საქმე. ბრალს სდებდენ 31 კაცს, რომ მათ 1905 წელს შეადგინეს რევოლიუციონური რაზმი.

**პეტებურგი.** მთავარ სამხედრო სასამართლოში გაარჩიეს ყაზანის ჯარში ახალ სალდათების მიმღებ კომისიის საკასაციო საჩივარი. პასუხის გებაში იყო მიცემული თავმჯდომარე ჩიჟოვი, მისი ამხანაგი ილინი და რვა წევრი. ყაზანის საოლქო-სამხედრო სასამართლომ მათ გადაუწყვიტა ერთიდან სამ წლამდე ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა და წითელი ჯვრის სასარგებლოთ 970—38,000 მანათამდე გადახდა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ საკასაციო საჩივარი უყურადღებოთ დასტოვა.

**ნიკოლაევი.** ჩრდილოეთის ბანკის კასირს საოლქო სასამართლომ გადაუწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და წელიწადნახევრით სატუსაღოში ჯდომა. მან გასული წლის მაისში ბანკიდან ფულები გაიტაცა.

## უკანასკნელი ფოსტა

**რუსეთი**

**ანკეტა პოლიციის შესახებ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს კითხვის ფურცლები დაუგზავნა და წინადადება მისცა გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რომელი თანამედ-

ბობიდან შეიძლება განთავისუფლებულ იქნან პოლიციელები, რომ მათ შეეძლოთ უფრო ერთგულათ შეასრულონ პირდაპირი მოვალეობა.

**სახალინის დასახლება.** ამურის მხრის გენერალ-გუბერნატორმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სახალინი დასახლებულ იქნეს გლეხებით, რომლებმაც ამურის მხრის სხვა ადგილებში კარგი საცხოვრებელი ადგილები ვერ იშოვეს.

**გადასახადები სამეურნეო იარაღებზე.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საკითხი გადასახადების შემცირების შესახებ იმ სამეურნეო იარაღებზე და მათ ქონებაზე, რომელიც ინგლისიდან შემოაქვთ.

**ოქტომბრისტები ხომიაკოვთან.** 15 მარტს ნ. ა. ხომიაკოვის ბინაზე შეიკრიბენ 17 ოქტომბრის პარტიის ზოგიერთი ცნობილი წევრები. იმათ ის აზრი გამოსთქვეს, რომ ხომიაკოვმა უსათუოდ პარტიის ლიდერობა უნდა იკისროს. ხომიაკოვმა გადაჭრილი უარი სთქვა ამ წინადადებაზე და განაცხადა, რომ სანამ სახელმწიფო დუმის წევრათ ვიქნები,—უპარტიოთ დავრჩებიო.

**გაერთიანებულ აზნაურთა სიეზდზე** მარკოვმა მეორემ წინადადება შეიტანა სიეზდმა იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ გუბერნატორები ინიშნებოდენ არა მთავრობის მიერ, არამედ—უმაღლესი ბრძანების ძალით.

კრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მარკოვის წინადადებას.

სახ. საბჭოს წევრი უშაკოვი თავის სიტყვის ბოლოში შეეხო სახ. დუმის თავმჯდომარის ა. ი. გუჩკოვის სიტყვას და სთქვა, რომ „მოქალაქე გუჩკოვს“ თავმჯდომარის როლში პირველ გამოსვლაზევე „უტიფრათ“ ეჭირა თავი და მწუხარება გამოსთქვა, რომ დღეიდან გუჩკოვის თავგასულობას ველარავინ აღუდგება წინო.

**გადასახლებულთა წამება.** ტურუხანის მხარეში (ციმბირში) შარშან მრავალი პოლიტიკური დამნაშავენი გადაასახლეს. წელს ზოგიერთს ბედმა გაუღიმა და უკან დაბრუნების ნება მიეცათ. როგორც ვიცით, ის გადასახლებულების, რომელთაც ვადა შეუსრულდებათ, უკან ბრუნდებიან ან „ეტაპით“ ან საკუთარი ხარჯით, რაც ძალიან ბევრი ჯდება და გადასახლებულებს კი ამის სახსარი არ მოეპოვებათ. შედარებით თავისუფლათ თავის გრძნობა ყველას უსაზღვროთ სურს. ამიტომ გადასახლებულები არჩევენ ფეხით მოგზაურობას. უკაპეიკოთ ჯიბეში, 40—50 გრადუს ყინვაში, ჩრდილოეთის მუდმივ ქარში გადასახლებულებს, თითო-თითო ან ორ-სამ კაცს ერთათ სოფლიდან სოფელში. დღეში უხდებათ 25—35 ვერსტის გავლა, რომ ამ სახით პირველი რკინის გზის სადგურამდე მიაღწიოს ადამიანმა საჭიროა ორი თვის მოგზაურობა. ერთ ადგილზე 24 საათზე მეტის გაჩერება სასტიკათ აკრძალულია, ამიტომ რიგიან დასვენებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

ვინ მოსთვლის რამდენ ტანჯვას, მწუხარებას და აუტანელ გაჭირვებას გამოცდიან გადასახლებულნი, სანამ თავიანთ ოჯახებში დაბრუნებას ეღირსებიან?

ისინი-კი სულ მიდიან, მიდიან და მიდიან. ნეტა ვისთვის არის საჭირო ხალხის ამდენი ტანჯვა და შევიწროება?

## საზღვარ-გარეთ

**სოციალისტების გაერთიანება.** ბალკანეთის სახელმწიფოების სოციალისტებმა გადასწყვიტეს შეერთდენ. 27 მარტს სოფიაში შესდგება ბოლგარეთის სოციალისტთა კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს სერბიელ სოციალისტების ბელადი ლიაპჩევიჩი. გაერთიანების მიზანია ებრძოლონ ავსტრიის იმპერიალიზმს და რუსეთ-ბალკანეთის სახელმწიფოების პოლიტიკას.

**ექსპროპრიატორის** დატუსაღება. რამდენიმე დღის წინათ ბრიუსელის პოლიციამ რუსეთის მთავრობის მოთხოვნით დააპატიმრა რუსეთის ქვეშევრდომი მიხეილ კაივასი, რომელსაც ბრალდება 1906 წ. მოსკოვში ექსპროპრიაციის მოხდენა. კაივასი ყუმბარით და რევოლვერით შევარდნია ოჯახში ერთ მოსკოველ ვაჭარს და მუქარით 10,000 მანეთი წაურთმევია. სამი დღის შემდეგ, როდესაც კაივასი უკვე საზღვარ-გარეთ იყო, ვაჭარს განუცხადებია პოლიციისათვის მისი თავგადასავალი. სამი წლის განმავლობაში კაივასი ბელგიაში ცხოვრობდა. ამ ჟამათ კაივასის გაცემის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა ბელგიაში. ზოგიერთი იურისტები ამტკიცებენ, რომ 1905 და 1906 წ. რუსეთში ექსპროპრიაციებს პოლიტიკური ხასიათი ქონდათ და ამიტომ კაივასის გაცემა შეუძლებელიაო. ბელგიის მთავრობას კი არჩევნების წინ სოციალისტების შეკითხვის ეშინია და ამიტომ ვერ გადაუწყვეტია კაივასის გაცემა. ამ საქმის გამო ბრიუსელის სახალხო სახლში მიტინგი გაიმართა, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

# ახალი ამბავი

**ცეცხლი ზუგდიდში.** ქალაქი სანახევროთ გადაიწვა. ცეცხლი ვერ ჩააქრეს.

✦ **წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობას თავის უკანასკნელ მორიგ სხდომაზე დაუდგენია მიმდინარე წელს, მაისში საზოგადოების სასარგებლოთ გამართოს ლატარეია-ალეგრა. გამგეობამ უკვე თხოვნით მიმართა მუშტაიდის ბაღის გამგეს როლლოვს, რათა ერთი დღით სასეირნოთ დაუთმოს ბაღი.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოება.** თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ ახლათ შედგენილი წესდება გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. ახლო მომავალში მოხდება ჟურნალისტთა საზოგადო კრება, რომელიც ახალი წესდების თანახმათ გამგეობის წევრებს აირჩევს.

✦ **სიღნაღის ტრაქტი.** პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ბ-ნ ედიგაროვის საქციელს, რომელსაც თფილის-სიღნაღის ტრაქტი იჯარით აქვს აღებული, სადაც სამოგზავროთ ისეთი უვარგისი ცხენები გამოყავს, რომ მგზავრებს მთელი საათობით და დღეობითაც ქუჩაში უხდებათ ცდა. პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას წინადადებით მიუმართავს ედიგაროვისათვის, უვარგისი ცხენები ნუ გამოყავს სამოგზავროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასტიკათ დაისჯება კანონის ძალით.

✦ **თფ. ქალაქის გამგეობა** პოლიცმეისტერს შეეკითხა აცნობოს მას თუ ვისგან შეძენილ იარაღებს ატარებდენ ამ დრომდე თფილისის პოლიციელები.

✦ **ხარკოვიდან გვწერენ.** შაბათს, 13 მარტს მოხდა სტუდენტთა საერთო კრება იმ ინციდენტის გამო, რომელიც გამოიწვია დუმაში სტუდენტობის წინააღმდეგ პურიშკევიჩის გალაშქრებამ. კრებას აუარებელი სტუდენტობა და თავისუფალი მსმენელი ქალები მოაწყდენ. კრება დანიშნული იყო წინა დღით, საღამოს ხუთ საათზე, მაგრამ ამ დროსთვის ცხენოსან და ქვეით პოლიციელების რაზმმა ყველა მხრით შეკრა უნივერსიტეტისაკენ მიმავალი ახლო-მახლო ქუჩები და არავის უშვებდა. 13 მარტს კრებაზე ილაპარაკა 3 ორატორმა. მათ შორის სტუდენტმა ლორთქიფანიძემ. კრებამ რეზოლუცია გამოიტანა, რომლითაც ზიზღი ეცხადება პურიშკევიჩს და დუმის უმეტესობას, ხოლო მადლობა დუმის ოპოზიციას. ამასთანავე კრებამ პროტესტი და გაკიცხვა გამოუცხადა უნივერსიტეტის რექტორს, რომელმაც წინა დღით პოლიციელების დახმარებას მიმართა, რომ კრება არ შემდგარიყო.

✦ **მკვლელობა და პოლიცის ძაღლები.** 18 მარტს, საღამოს, კონდრატენკოს ქუჩაზე „მაუზერის“ სისტემის რევოლვერის ტყვით ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ დაჭრა თფილისის მოქალაქე აგასი არაქ. მელიქ-აივაზოვი, 50 წლის. ბოროტ-მოქმედი მიიმალა. მკვლელობა პირადი ინტერესით ყოფილა გამოწვეული. მოკლული საავათმყოფოში წაასვენეს. მკვლელების ძებნამ პოლიციის მიერ ღამის 3 საათამდე გასტანა პოლიციელ ძაღლების დახმარებით. როგორც პოლიციის ცნობები გადმოგვცემს, ძაღლებს მკვლელი უპოვნია და კიდეც შეუპყრიათ ის.

✦ **საბავშო კითხვები.** კვირას, 21 მარტს ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი ელიავასი გამართავს საუბარს „ცივ ქვეყნებზე“. დასაწყისი 10 საათზე. ამავე დღეს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ახალშენიშვილისა გამართავს საუბარს „კატაზე, ლომზე და ვეფხვზე“, ქ-ნი გონიევისა—„შაღლვას თავგადასავალი“. დასაწყისი 11 საათზე. ავლაბრის აუდიტორიაში ამავე დღეს ქ-ნი ბერიშვილი წაიკითხავს: „მაღაროში მომუშავე ბავშვები“. დასაწყისი 11 საათზე.

✦ **ნივთების და საბუთების გატაცება.** სასტუმრო „მოსკოვის ნომრების“-ს პატრონმა ოლღა გრიგოლის ასულმა ქუთათელაძისამ პოლიციას განუცხადა, რომ 15 მარტს, საღამოს, იმ დროს, როცა ის თავის ბინიდან სხვაგან წავიდა, ქუთაისის მაზრის, სოფ. საჩინოს მცხოვრებმა, გ. ს. თვალავაძემ, რომელიც ჩემთან ცხოვრობდა, ჩემი ბინიდან გაიტაცა 103 მ. ღირებული ნივთები, 1400 მ. ვექსილი, რომელიც ჩემ სახელზე ქონდა გადმოცემული და სოფელში წავიდაო.

✦ **თფ. მუსულმანთა შუამდგომლობა.** თფილისის მუსულმანებმა შუამდგომლობა აღძრეს ნამესტნიკის წინაშე ნება დაერთოს მათ გააფართოვონ სწავლის პროგრამა თფ. მუსულმანთა სასწავლებელში და აგრეთვე გახსნან პირველდაწყებითი საქალებო სასწავლებელიც.

✦ **შუამდგომლობის უარ-ყოფა.** ფინანსთა მინისტრმა უარყო ბათუმის სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა, მცენარეთა უბაჟოთ გზავნა-გავრცელების შესახებ. სამინისტრო ამბობს, რომ საბაჟო ხარჯების დასაფარავათ საზოგადოებას შეუძლია დახმარება სამიწათმოქმედო სამმართველოსგან მიიღოს.

✦ **თფილისის გუბერნატორმა** უარყო ქალაქის გამგეობის დადგენილება, იმის შესახებ, რომ ქალაქმა როლლოვის მამულის საფასოთ 12 ათასი მან. გადაიხადოს. გუბერნატორისა და სახაზინო პალატის მმართველის აზრით, ხსენებული მამული ძალიან ძვირათაა შეფასებული.

**სამასწავლებლო სემინარია ქუთაისში.** როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, მთავრობას უკვე გადაუწყვეტია დაარსოს ქუთაისში სამხედრო სასტატო სემინარია (კაზაკებისათვის). სემინარიის აგებას, როგორც გაზეთი იუწყება, ამავე გაზაფხულზე შეუდგებიან.

✦ **უვარგისი მაწონი.** მეხუთე საპოლიციო უბანში, თაირის მოედანზე, შეიპყრეს ს. ყულისის მცხოვრებნი გ. ქობულოვი, გ. გულვერძიშვილი დ. და ა. დივანოვები, მ. ქორგაშვილი და კ. ლაგიაშვილი, რომელთაც უნახეს ასამდე ქილა უვარგისი მაწონი. შეპყრობილთ პასუხის გებაში აძლევენ.

✦ **ჯარიმა.** თფილისის გუბერნატორის მიერ დაჯარიმებულია 6 მოვაჭრე, თითო ოცდახუთ-ოცდახუთ მანეთით. ამათ ბრალდებათ ზედ-მეტ ფასებში პურის გაყიდვა.

✦ **მეყასბეთა თავხედობა.** ოქმები შეუდგინეს და სამართალში აძლევენ მეყასბეებს მ. ფერაჯულაევს და ი. გუსეინ-ოღლის, რომელთაც ზედ-მეტ-ფასებში ხორცის გაყიდვა ბრალდებათ.

✦ **სამგლოვიარო წერილი.** საერთო მწუხარებას ვუერთებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას მეგობარ გრ. კალანდაძის გარდაცვალების გამო. ამხანაგების მონდობილობით გ. აფხაზავა.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 18 მარტს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი თფილისის მცხოვრებნი ა. ს. ავალოვი და ა. ალასკერ-ოღლი.

✦ **დაკარგული საბუთები.** თფილისის მოქალაქე გრიგოლ ზაქარიას ძე ცხედაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან თფილისში ამ წლის 26 თებერვალს დაჰკარგა ორი დოკუმენტი: 1) პასპორტი 5 წლით № 650 მიღებული მეშჩანთა გამგეობიდან 11 აპრილს 1906 წ. 2) აღსრულებითი ფურცელი 750 მანეთისა, ოდესის საოლქო სასამართლოდან მიღებული 27 სექტემბერს 1906

## დეპ. კუზნეცოვის სიტყვა საპატიმროთა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

(სტენოგრაფიული ანგარიშებიდან)

შარშან სახ. დუმამ სატუსაღოების შესანახათ იუსტიციის სამინისტროს დაუმტკიცა 20,000,000 მანეთი, მაგრამ სამი მილიონიც საკმარისი არ შეიქნა. 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იუსტიციის სამინისტრო სატუსაღოების შესანახათ მოითხოვს ხალხისაგან არა 28 მილიონ მანეთს, არამედ—31,736,000 მ. იუსტიციის სამინისტრო ამასაც არ ჯერდება. ხარჯთ-აღრიცხვას თან ახლავს განმარტებითი ბარათი, რომლის 21 გვერდზე, იუსტიციის მინისტრი ცრემლებს აფრქვევს იმის გამო, რომ ეს ჯამიც საკმარისი არ იქნება ამ უწყების ყველა აუცილებელი ხარჯების დასაფარავათ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 1911 წ. სამინისტრო ხალხის მთლათ გაძარცვას მოინდომებს, რომ სატუსაღოების უზომოთ გაზრდილი ხარჯები დაფაროს (მარჯვნიდან ხმები: არ გვესმის).

**თავმჯდომარე** უმორჩილესათ გთხოვთ, შენიშვნებს ნუ იძლევით.

**კუზნეცოვი.** განმარტებითი ბარათიდან აშკარათ სჩანს, რომ იუსტიციის სამინისტროს ხარჯები სატუსაღოების შესანახავათ იმავე სისწრაფით განაგრძობენ ზრდას, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, და ჩვენ საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ სატუსაღოების შესანახათ ბიუჯეტი სახალხო განათლების საქმეზე დასახარჯ ბიუჯეტზე გაცილებით მეტი არ გახდება. ამ ჟამათ ჩვენ ვხედავთ, რომ სატუსაღოების შესანახათ მეტი იხარჯება რუსეთში, ვინემ დაბალი განათლების საქმეზე, რადგან დაბალი განათლების საქმეს ხმარდება სულ 28 მილიონი მანეთი, სატუსაღოების შენახვას-კი 31 მილიონი მან. ამ ხარჯების გაზრდას განმარტებითი ბარათი ხსნის იმ გარემოებით, რომ დამნაშავეთა გარემოებამ იმატა, მაგრამ ჩვენში რომ ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა იყოს, ბ.ბ. სახ. დუმის წევრნო, ის შედეგების განხილვას კი არ შეუდგებოდა, არამედ გამოიკვლევდა იმ მიზეზებს, რომლებმაც ეს შედეგები წარმოშობეს. ამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა კი ჩვენ მესამე დუმაში გვიხდება, რომლისაგან არავინ არ უნდა მოელოდეს ამგვარი კითხვის დასმას. ჩვენ, როგორც მუშათა კლასის და დემოკრატიის ფართო წრეების წარმომადგენლებს მოვალეობათ მიგვაჩნია განვუმეოროთ მუშებს და ხალხის დემოკრატიულ ნაწილს, რა მიზეზებია ის მიზეზები, რომელნიც დანაშაულობის ზრდას ხელს უწყობენ. საჭირო არ არის სოციალდემოკრატი იყო იმისათვის, რომ მუდმივი ზრდის მიზეზები გაიგო. დასავლეთ ევროპაში თვით ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა აღიარეს, რომ კერძო საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობის ზრდას პირდაპირი კავშირი აქვს ხალხის ფართო წრეების კულტურულ და ეკონომიურ განვითარების ხარისხთან. რეპრესიული წესებს მომხრენი უმთავრეს შემთხვევაში წარმომადგენელნი არიან გაბატონებული კლასისა. გაბატონებული კლასების წარმომადგენელნი კი დანაშაულობის ზრდაში მხოლოდ შედეგებს ხედავენ და არა მის წარმომშობ მიზეზებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თანამედროვე დანაშაულობას ვერ მოსპობს ვერც ციხეები, ვერც სიკვდილით დასჯა და ვერც გადასახლება; ის იარსებებს მანამდე, სანამ თვითონ ის ფესვი არ იქნება ამოფხვრილი, რომელიც ამ დანაშაულობის წარმომშობია. ნიადაგი, რომელშიდაც ეს ფესვი საზრდოობს, არის თანამედროვე სახელმწიფოს კლასობრივი წყობილება, სადაც ერთ პოლიუსზე ჩვენ ვხედავთ სიღარიბეს და სიმშილს, მეორეზე-კი სიმდიდრეს და ფუფუნებას! თუ რეპრესიების და ციხეების საჭიროებას სცნობთ, იმ შემთხვევაში ის მაინც არ უნდა გავიწყდებოდეთ, რომ შეძლებული კლასების წარმომადგენელნი ათჯერ უფრო ღირსნი არიან ციხეებში ჯდომისა, ვინემ რომელიმე ილაჯ-გაწყვეტილი მუშა, უმუშევარი, რომელსაც სიმშილი იძულებულს ხდის განცხრომის შვილს რაიმე უმნიშვნელო ნივთი მოპაროს. მაგრამ ჩვენში დანაშაულობის ზრდას კიდევ განსაკუთრებული მიზეზები უწყობენ ხელს, რომლებსაც ადგილი აქვთ მხოლოდ რუსეთში. რუსეთის პირობების განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ აქ გარდა კლასობრივი შევიწროებისა არსებობს აგრეთვე წოდებრივი შევიწროებაც. რუსეთში ერთი მუჭა მიწის მფლობელ აზნაურობას თავისი პირადი კეთილ-დღეობის სანაცვლოთ გაუხდია სახელმწიფოს დანარჩენ მცხოვრებთა ინტერესები, უმთავრესათ კი მუშათა კლასის და გლეხობის. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ისეთ ვიწრო ფარგლებშია ჩაყენებული, რომ ამ ფარგლების გაცილება, კანონების დაურღვევლათ, მისთვის ყოვლათ შეუძლებელი ხდება. ამნაირათ, მე დავასახელე ის მიზეზები, რომელნიც ხელს უწყობენ დანაშაულობის ზრდას. ახლა საკითხი იმაშია, თუ რა საშვალებით შეგვიძლია ჩვენ ცოტათი მაინც შევამციროთ თანამედროვე დანაშაულობის ზრდა (ხმა მარჯვნიდან: ნუ ჩაიდენთ დანაშაულობას!) თანამედროვე დანაშაულობის ზრდის შესუსტება შეიძლება მხოლოდ გაბატონებულ სოციალურ უთანასწორობასთან ბრძოლით, პოლიტიკური თანასწორობის შემოღებით, ეკონომიურ დაჩაგვრასთან ბრძოლით და საყოველთაო სახალხო განათლების შემოღებით. ჩვენი შეხედულებით აქეთი პირობების შექმნით შეიძლებოდა დანაშაულობის რაოდენობის შემცირება, მაგრამ არა სავსებით მისი მოსპობა. დანაშაულობა სრულებით მოისპობა მხოლოდ სოციალისტურ წეს-წყობილების დროს, რადგან სოციალიზმი სპობს ფესვს ამ დანაშაულობისას, და თუ სოციალურ საზოგადოებაში კიდევ ექნება ადგილი დანაშაულობას, ეს იქნება მხოლოდ დროებით, როგორც კაპიტალისტური სახელმწიფოსაგან დატოვებული მემკვიდრეობა. ჩვეულებრივ დამნაშავეებს გარდა რუსეთის ციხეებში არიან კიდევ სხვა ჯურის დამნაშავენიც, რომელნიც ასეთებათ გახდარან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ შეეძლოთ არ გასცილებოდენ იმ ვიწრო უუფლებრივ ფარგალს, რომელშიდაც ისინი გაერთიანებულ აზნაურობის მთავრობამ ჩასჭედა. რამდენი დანაშაულობა წარმოიშვა მარტო აგრარულ ნიადაგზე? ეს დანაშაულობანი პირდაპირი შედეგია აზნაურთა პოლიტიკისა. გარდა ამისა, არის კიდევ დამნაშავეთა განსაკუთრებული კატეგორია, ე. წ. პოლიტიკური პატიმარნი,—ესენი პირდაპირი ნაყოფია გაძლიერებული და განსაკუთრებული წესების. შეიძლება დამნაშავეთა ამ კატეგორიას იცნობდა დასავლეთი ევროპაც, მაგრამ ის იცნობდა დამნაშავეთა ამ კატეგორიას მხოლოდ კონსტიტუციის შემოღებამდე. პოლიტიკური თავისუფლების გამოცხადებისა და სახალხო წარმომადგენლობის შემოღების შემდეგ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულობამ თან და თან იკლო და ამ ჟამათ, როგორც ყველანი ვამჩნევთ, ის თითქმის სრულებით მოისპო. რუსეთში კი ე. წ. დემოკრატიული კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ, პოლიტიკურ ტუსაღთა რიცხვი...

**ნოვიცკი 2** (ადგილიდან): ვინ მოგახსენა, რომ კონსტიტუცია გამოცხადდეს?

**კუზნეცოვი**.. ყოველ დღე მატულობს. 1906 წ. პატიმართა რიცხვი იყო 111,000 1908 წ.—166,000, 1909 წ.—171,000; 1910 წლისათვის კი ვარაუდით 220,000 პოლიტიკური ტუსაღი იქნება. დაუკვირდით ამ ციფრებს და ადვილათ მიხვდებით, თუ რამ გამოიწვია რუსეთის მცხოვრებთა შორის შეხედულობათა სხვა და სხვაობა კონსტიტუციის შესახებ. ამას წინათ ამ ტრიბუნიდან, 17 ოქტომბრის პარტიის წარმომადგენელმა, სახ. დუმის წევრმა გუჩკოვმა ჩვენ გვამცნო: მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია თან და თან მაგრდებაო.

**მარკოვ 2** (ადგილიდან): ყური დაუგდეთ!

**კუზნეცოვი.** ჩვენ ვამტკიცებთ, რომ, მართლაც, ხდება გამაგრება, მხოლოდ არა კონსტიტუციისა, არამედ შეცვლილი კონსტიტუციონური მუშტისა. თუ კონსტიტუციის წინა ხანებში მუშტის ერთი შემოკვრით ორი კბილი ვარდებოდა, ახლა კონსტიტუციონური მუშტის ერთი დარტყმისაგან ექვსი კბილი ცვივა. ძნელათ ვფიქრობ, რომ ამ მდგომარეობის უარყოფა შეიძლებოდეს, თუნდა პავლე ნიკოლოზის ძის მილიუკოვის სახელმძღვანელოს მიხედვითაც-კი (სიცილი). ეს წინააღმდეგობა, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ 1905 წ., როდესაც ხალხმა მთავრობას ომი გამოუცხადა, რევოლიუციონური ბრძოლის შიშით მთავრობა სახალხო მოძრაობას დათმობაზე აძლევდა; სხვათა შორის, ერთი უმთავრესი დათმობათაგანი მთავრობის მხრით იყო 17 ოქტობრის მანიფესტიც. მაგრამ როგორც კი პირობები შეიცვალა და მოძრაობას შესუსტება დაეტყო, მთავრობამ უკანვე წაიღო ყველა დათმობანი და მათ რიცხვში 17 ოქტომბრის მანიფესტიც. ამ ჟამათ ჩვენ ვხედავთ, რომ რეალურათ ეს კონსტიტუცია რუსეთში აღარ არსებობს (მარჯვნიდან: ის

წ. მშრომელს სთხოვენ დოკუმენტები ჩვენს რედაქციაში მოიტანოს.

✦ „მათრახი და სალამური“. გამოვიდა მორიგი ნომერი № 12 შემდეგი შინაარსით; კარიკატურა, რედაქტორის გაზაფხული; ვითომ ქეთევან ლეონიძის და ვითომ ლევან ხიმშიაშვილის ვითომ გასამართლება, თავუნასი. საგაზაფხულო სიმღერა, მალაქიაშვილისა; ახლო მომავლის სტენოგრამა; მებადეს ლექსი ნ. ზომლეთელისა; ლუბაძე ტოლმაჩოვისას; მომავლის იმედს, ლექსი კ. გოგოლაძისა; ქართული სადამო პროვინციაში ხუცისა; მარადა ზომლეთელისა; სანაგვე პოეტები, ნაცარ-ქექიასი; პერპეტუმ მობილე XX-სი ;და სხ.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ „თეატრ და ხელოვნებაში“ შეცდომით დაბეჭდილია: **ქართული ბოქაულის.** უნდა იყოს: **ქართველი ბოქაულის. ქართველი ფემიდა**, უნდა იყოს **ქართული ფემიდა.**

პრესაში დაბეჭდილია: **„დემოკრატიას გაერთიანება“** უნდა იყოს: **„დემოკრატიის გაერთიანება“.**

—

**გურია.** 19 მარტს ქ. ქუთაისში საოლქო სასამართლო გაარჩევს ცნობილ დ. მგელაძის საქმეს. მგელაძეს ბრალდება „სტრაჟნიკობის“ დროს სადგურ ნატანებში გ. ტუღუშის დაჭრა უდანაშაულოთ, რასაც შედეგათ მოყვა მგელაძის სამსახურიდან გაძევება და პასუხისგებაში მიცემა. ამ საქმეზე მოწამეთ გამოწვეულია ორივე მხრიდან 30 კაცამდე.

— ბურჭულაძის მოკვლის გამო დაჭერილი დათუნაშვილი ადმინისტრაციის განკარგულებით ორი დღის შემდეგ გაანთავისუფლეს.

— დაჭერილ მ. გორდელაძეს, ჩხარტიშვილის და თუაიშვილს, როგორც ამბობენ, თითო თვის ციხე გადაუწყვიტეს.

— რადგანაც დაჭერა მასსიურ მოვლენათ გადაიქცა, ამ ჟამათ ოზურგეთის ციხეში 80-მდე ტუსაღია.

— ს. ლიხაურში გაცხარებული მუშაობაა გზების.

## პატარა ინციდენტი

—

თფილისის ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებლების მასწავლებლებს დღემდის ჰქონდათ უცვლელი: დიდმარხვაში მოსწავლეებს დაითხოვდენ სააღსარებოთ ერთი კვირით; ამ ერთი კვირის არჩევა მინდობილი ჰქონდა თვით მასწავლებელს.

დადგა შარშანდელი დიდმარხვა. ერთმა მასწავლებელმა მოსწავლეები დაითხოვა პირველ კვირეს. ეს არ იცოდა სახალხო შკოლების დირექტორმა; მივიდა სასწავლებელში დასათვალიერებლათ, მაგრამ შიგ არავინ დახვდა ეს გარემოება მან მაშინვე შეატყობინა ქალაქის გამგეობას. უკანასკნელმა ეს გარემოება გადასცა ქალაქის სამოსწავლო კომისიას.

წრეულს კომისიამ მისწერა მასწავლებლებს: მოსწავლეების დათხოვნის დღე წინდაწინვე შეგვატყობინეთო. შეიკრიბენ მასწავლებლები და დაადგინეს: ვისაც როგორც სურს, ისე მოიქცეს: უნდა პირველი კვირით ისარგებლოს, უნდა—უკანასკნელით. მასწავლებლებმა პირველი კვირით სარგებლობა გადასწყვიტეს და ეს მაშინვე შეატყობინეს სადაც ჯერ არს.

ეს მოხდა ყველიერის ოთხშაბათს. ხუთშაბათს მოსწავლეები საყველიეროთ დაითხოვეს და პირველი დიდი მარხვის კვირეც ზედ მიაყოლეს.

დაიშალენ მოსწავლეები. მასწავლებლებიც წავიდ-წამოვიდენ.

მეორე დღეს მოდის ფიცხლი განკარგულება: მოსწავლეები უთუოდ უკანასკნელ კვირეს დაითხოვეთო. ეს განკარგულება სისრულეში ვერ მოიყვანეს მასწავლებლებმა, ვინაიდან მოსწავლეები უკვე დათხოვნილნი იყვნენ და თვით მასწავლებლებიც გასული იყვნენ ქალაქიდან.

დააშავეს რაიმე მასწავლებლებმა? არა, არა დაუშავებიათ რა. ამისთანა განკარგულება სამოსწავლო კომისიას დროზე უნდა შეეტყობინებინა მათთვის. მასწავლებლები მოიქცენ ისე, როგორც ყოველთვის ჩვეულებრივ და კომისიის თანხმობით და ნებართვით იქცეოდენ წინა წლებში.

მაგრამ ვთქვათ, რომ მასწავლებლები დამნაშავენი არიან. ნუ თუ აქ საკმარისი არ იქნებოდა შენიშვნით ინციდენტის ბოლოს მოღება.

რას შვრება გამგეობა? ჩვენ ვსარგებლობთ იმ ცნობებით, რომლებიც ამის შესახებ გაზეთებშია გამოცხადებული ქრონიკის სახით და ჯერ არ არის არავისაგან უარყოფილი. გამგეობა ადგენს: გამოერიცხოს სკოლების ზედამხედველ მასწავლებლებს ჯამაგირიდან ერთი მეოთხედი.

გამგეობამ იცის, როგორი ზომა უფრო რეალურად გასჭრის **თვითნება** მასწავლებლებზე. მან იცის, რომ მწირეა კუჭი და აი, აქეთ არის დამიზნებული მისი მათრახის მოქნევა.

საცოდავი მასწავლებლები! ჩამწარდათ სააღსარებო კვირე!

აბა, მათ რა იცოდენ, თუ გამგეობა ამისთანა სრულიად „ადმინისტრატიულ“ ზომას მიმართავდა, თორემ ისინი უთუოდ „ბანს ეტყოდენ“ „გულში მომღერალ“ გამგეობას! **იკა.**

### წერილი შირვანიდან.

«კარგი რამ გქირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია».

შირვან შახია უძველეს სატახტო ქალაქს, დღევანდელ შემახას, თავის მრავალ საუკუნოების არსებობაში აურაც ხელჯერ განუცდია გაპარტახება როგორც კაცთაგან, აგრეთვე ბუნების ძალებისაგან. თუ როდის ან ვინ დაარსა ქ. შემახა, ამის შესახებ არავითარი ნამდვილი წყაროები არ არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სომხის ისტორიკოსის კირაკოსის სიტყვებს, რომლის აზრითაც ქ. შემახა ვითომცა დაარსებული იყოს ხოზარის მეფის შატისაგან. ასეა თუ ისე, ქ. შემახა ეკუთვნის ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს. ცოტათ თუ ბევრათ ნამდვილი წყაროები შირვანის პროვინციის შესახებ, საზოგადოთ და კერძოთ ქ. შემახის შესახებ მე-7 საუკუნიდან, როცა არაბები სპარსეთიდან შემოვიდენ ამიერ-კავკასიაში და „ცეცხლითა და მახვილითა“ ავრცელებდენ თავიანთი მოციქულის მაჰომედის მოძღვრებას. აღეს რა დაღესტანი, გზა და გზა დაიმორჩილეს, სხვათა შორის, შირვანის ქვეყანაც, სადაც მეფობდა იმ დროს შირვანის შახი შახრიარი. ამ დროიდან დაწყებული მე 11 საუკუნის გასვლამდის ეს ქვეყანა არაბების მფლობელობას შეადგენდა, რომელსაც განაგებდენ შირვანის შახები აბასსიდების დინასტიიდან. შემდეგ შირვანი მონგოლების ხელში გადავიდა: 1220 წ. შემახა უკვე ჩინგის ხანის ხელში იყო. 1382 წ. შირვანის ტახტზე ხელ-ახლა ავიდა ერთი ჩამომავალი ძველ შირვან შახთა ემირ-შეიხ იბრაჰიმი (1382—1437), შემდეგ თანდათან ხალილ ულახი პირველი (1447—1462) და ფერრუხ-ესარი (1462 -1500). ამ წელს სპარსეთში გამეფდა ისმა ილ-სეფი, რომელმაც დაიპყრო შირვანი. შემდეგ ფერრუხ ესახის შვილმა შეიხ-იბრაჰიმ მეორემ ხელ-ახლა დაიბრუნა შირვანი, რომელიც შეირჩინა 1524 წლამდე. შემდეგ შირვანის ტახტი გადადის შირვან-შახის როქას ხელში, რომელსაც იმორჩილებს სპარსეთის შახი თ ხმაზ პირველი 1538 წ. და ტყვეთ მიყავს.

1538 წელს ისპობა შირვან-შახობა და შემდეგ იწყება ხანა შირვან **ხანთა** მმართველობისა. *) უკანასკნელი ხანი შირვანისა იყო მუსტაფა. 1805 წ. მუსტაფა ხანმა შეფიცა რუსეთს ერთგულობა, რისთვისაც დაჯილდოვებულ იქნა გენერალ ლეიტენანტის ჩინით. 1820 წ. ის გაიქცა სპარსეთში და ამ წლიდან საბოლოოთ შემოიერთა რუსეთმა შემახა. 1840 წ. შემახაში შემოღებულ იქნა სამოქალაქო წეს-წყობილება (Гражданское Управленiе) და 1846 წლიდან ეს ქალაქი საგუბერნიო ქალაქად გადაკეთდა 1846 წ. გუბერნატორის თარხან მოურავის მეცადინობით შემახის გუბერნია ბაქოს გუბერნიად გადააკეთეს და საგუბერნიო დაწესებულებანი ქ. ბაქოში გადაიტანეს.

რაც შეეხება მიწის ძვრას, რომელსაც მრავალჯერ დაუნგრევია შემახა და ახლო მახლო მდებარე სოფლებიც, უძველესი ცნობა, რომელიც კი მოიპოება ამის შესახებ არის აკადემიკოსის აბიხის ჩვენება (См. Записки Кавк. Отд. Императ. Геогр. Общ. кн. 5, изд. 1862), რომლიდანაც ჩანს, რომ 1669 წ. იანვარში მიწის ძვრამ ერთიანათ დაანგრია შემახა და ნანგრევებს ქვეშ დამარხულა 8 000 კაცი. ამაზე უფრო ძველი ცნობა არ მოიპოება, თუმცა-ღა, ეჭვს გარეშეა, მიწის ძვრა მანამდისაც იქნებოდა შემახაში. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ დრომდის მომხდარ მიწის ძვრის შესახებ ცნობები მოყვანილია სომხის ეპისკოპოსის მაკარ ბარხუდარიანცის წიგნში: «Страна агвановъ и сосѣди». 1806 წ. დანგრეულა მიწის ძვრისაგან შემახის ციხე. 1828 წ. ივლისში დანგრეულა 247 სახლი, 30 დუქნი და მახლობელ სოფლებში 300-მდე სახლი. სოფელ სილიანში (სომხების სოფელია შემახიდან ექვს ვერსზე) გახეთქილა დედამიწა და ამოვარდნილა ვულკანი. 1848 წ. (ივლ.) სოფლებ მარაზსა და ჯენგის შუა ამოხეთქილა ვულკანი. 1849 წ. ცხრა მარტს მომხდარა ძლიერი მიწის-ძვრა, რომელსაც დაუნგრევია 3250 სახლი. 1869 წ. 21 აგვისტოს მიწის ძვრას დაუნგრევია ყაზარმები, სამხედრო ლაზარეთი, საპყრობილე, ტელეგრაფის სადგური, მალაკნების და სომხების ნაწილი, სოფელ ჩაბანში დაუნგრევია 15 სახლი, სოფელ სუნდში, რომელიც 15 ვერსტით არის მოშორებული შემახაზე, ყველა სახლები დანგრეულა.

1872 წ. 16 იანვარს (ძველი სტილით) მომხდარა ძლიერ მიწის ძვრა, რომელიც 43 წამი (სეკუნდი) გაგრძელებულა. აღმოჩენილია ვაჟქვეშ 118 კაცი და 44 დაჭრილი. მართლმადიდებელთა ეკლესია გაბზარულა, თათრების ჯუმა—მეჩეთს შემონგრევია მინარეთი, სომხების ეკლესია დანგრეული, სომეხ-ლუთერანთა სამლოცველოც ჩანგრეულა და ქვეშ მოუტანია 18 კაცი. უმეტესი ნაწილი სახლებისა და დუქნების დანგრეულა; სოფ. მატრისაში 18 სახლი დაუქცევია.

უკანასკნელი, მაგრამ საშინელი მიწის ძვრა მოხდა, როგორც ვიცით და გვახსოვს, 1902 წ. 31 იანვარს, რომელმაც მიწასთან გაასწორა შემახა, მეტადრე თათრების ნაწილი: დაიღუპა დაახლოვებით 3,000 კაცზე მეტი. ს. მარაზს დაჯენგს შუა ხელ-ახლა ამოხეთქილა ვულკანი. ასეთია მიწის ძვრის ქრონოლოგია შემახაში ასი წლის (1806 -1902) განმავლობაში. 1902 წლიდან დაწყებული თითქმის ყოველ წლივ ხდება (და ხანდისხან ორ სამჯერაც) მცირედი მიწის ძვრა, მაგრამ შემახელები ისე შესჩვევიან ამას რომ ყურსაც არ იბერტყავენ, სანამ სახლები არ დაენგრევათ თავზე. და ან კი რა ქნან!? ერთად ერთი იმედი, რომლის განხორციელებაც იხსნის შემახელების აზრით შემახის მიწის ძვრისაგან არის ნავთის აღმოჩენა შემახას მახრაში. რომ ნავთი მოიპოება შემახაში, ამის უტყუარი ნიშნები მრავალგან ნახეს შემახის მახრაში, ხოლო საქმე იმაშია, რომ დღემდის არ ყოფილან ისეთი პირები, რომელნიც მოჰკიდონ ხელი ამ საქმისათვის.

**პროვ. სარდიონ მამალაძე.**

(დასასრული იქნება)

*) იხ. Списки населенныхъ пунктовъ Россійской Имперіи по Закавказскому краю. Бакинская Губернія. Тиф. 1870 г. стр. 67 и 68. აგრეთვე: Новѣйшія географическія и историческія извѣстія о Кавказѣ М. 1823 г. С. Броневскаго ч. II. стр. 430

## ბათუმის აჯ-კარგი

—

**ჩვენ „კურთხეულ“ რუსეთის ერობათა და ქალაქთა თვითმართველობების ცხოვრებაში არა ერთსა და ორს მაგალითს ქონია ადგილი: როცა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს შერყეულ ბიუჯეტის გამოკეთება ხარჯების შემცირებას თხოულობდა,—ხმოსნები უპირველეს ყოვლისა ეტაკებოდენ ხოლმე სწავლა-განათლების საჭიროებისათვის გადადებულ ხარჯებს და დაიწყებდენ სწორეთ შკოლის იმ ტიპიდან, რომელიც დანიშნულია მცხოვრებთა ღარიბი ნაწილისათვის. ასეთი**

არც არასოდეს ყოფილა რუსეთში). თავისუფლება სიტყვის, კრების, ბეჭდვის, შეკავშირების—არც ერთი ის ჩვენში არ არსებობს. ერთად ერთი, რაც სახალხო მოძრაობის შემდეგ დაგვრჩა, ეს არის მხოლოდ თვით აქტი და ისიც ყურებ შეკვეცილ ქაღალდზე. ერთი სიტყვით, დაგვრჩა მხოლოდ ქაღალდის კონსტიტუცია. მთავრობას ეს ფარატინა ქაღალდიცკი მოსვენებას არ აძლევს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ისიც სამარადისოთ მოსპოს. კანონიერი და უკანონო საშუალებებით მთავრობა ცდილობს გაუმკლავდეს მუშათა კლასს და გლეხებს, როგორც უმთავრეს დამნაშავეთ 1905 წ. მოძრაობისას. ამგვარათ, 17 ოქტომბრის აქტის ლიკვიდაციასთან ერთად მთავრობამ ლიკვიდაცია უყო ყოველივე მას, რაც... (ხმა მარჯვნიდან: მთავრობას ჯერ თქვენი ლიკვიდაცია არ მოუხდენია).

**თავმჯდომარე.** უმორჩილესათ გთხოვთ ორატორს ხელს ნუ უშლით.

**კუზნეცოვი.** მე ვსთქვი, რომ მთავრობამ კონსტიტუციონური აქტის ლიკვიდაციასთან ერთად შური იძია იმ ელემენტებზე, რომელნიც უმთავრესი მიზეზი იყვნენ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებისა. ჩვენ ვხედავთ, რომ 1907 წ. ეგრეთ წოდებულმა.. (სიცილი. ხმა ცენტრიდან: ეგრეთ წოდებული... თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს) საოლქო სასამართლოებმა 2 თვის განმავლობაში პატიმართა გამასწორებელი რაზმი გადაუწყვიტა 583-ს, დისციპლინარული ბათალიონი—458-ს, სატუსაღო—996 ს. ჩვენ ვხედავთ, რომ იაპონელებს არ მიუყენებიათ თავიანთი ზარბაზნებით და თოფებით იმდენი ზარალი რუსეთისათვის, რამდენიც იუსტიციის სამინისტროს სასამართლოებმა მიაყენეს მას. საგულისხმიეროა ის, თუ რა წესით უმკლავდებოდენ პოლიტიკურ ტუსაღებს ციხეებში. ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტები, რომლებზედაც 500, 600, 700 პოლიტიკურ პატიმარს უწერია ხელი. მე დიდხანს არ შევჩერდები ამ დოკუმენტებზე, ვეცდები მხოლოდ ზოგიერთი ადგილები წაგიკითხოთ იმ 45 დოკუმენტიდან, რომელნიც მე ამას წინათ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მივიღე. შორეულ ციმბირში, ნერჩინსკის ოლქში არსებობს კუტომარის ციხე. ამ ციხის უფროსათ არის ვინმე კოვალიოვი, რომელიც არა ერთხელ ყოფილა პასუხის გებაში მიცემული. რა ხდება ამ ციხეში, სადაც უმფარველოთ დარჩენილი ტუსაღები—ამ მხეცი ადამიანის ხელში ჩაუყრიათ კარცერი და გაროზგვა, კარცერი და გაროზგვა—აი მთელი სურათი ამ შორეული ციხისა. ივლისის თვემდე მჟავე წვენს (შჩი) კომბოსტოს მაგიერ ჭინჭრიდან ან სხვა ბალახიდან აკეთებდენ; ფქვილი ტუსაღებისათვის ორჯერ უყიდიათ ისეთი, რომელიც ყველა მყიდველებისაგან დაწუნებული იყო. აგვისტოს დასაწყისში ტუსაღმა შაგინმა დაზღვეული წერილი გაგზავნა ციხიდან, რომლის კვიტანცია მას არ მიუტანეს. შაგინმა მიმართა ციხის უფროსს კოვალიოვს. მან უპასუხა: „მე შენ მოგცემ კვიტანციას“, და უბრძანა ასი სახრე დაერტყათ მისთვის. მეორე დღეს ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი და 30 სახრე კიდევ ზედ მეტი წაუმატეს. ასეთი შემთხვევები ბევრია, ყოველ დღე—გათენებისას მოისმის სახრეების სხაპ-სხუპი და ტუსაღების გულშემზარავი გმინვა, სცემენ თითო, ორ-ორ, ხუთ-ხუთ ტუსაღს დღეში და თითოს 50-დან—100-მდე სახრე ხვდება. დასჯილი იქნენ შემდეგი პირები: (კითხულობს: 100 სახრე, გაზეთში გასაგზავნ კორესპონდენციისათვის. ნოსოვს 60 სახრე, რადგან მან ეზოში პერანგი დასტოვა გასაშრობათ; იმავ ნოსოვს 100 სახრე, რადგან კორესპონდენციაში ციხის უფროსი მოეხსენებია; 100 სახრე, რადგან ჯიბეში რაღაც უნახეს, ვიღაცასაგან ჩადებული; 50 სახრე, ჰანდრაკის თამაშისათვის; ბანკოვსკის 100 სახრე, რადგან დერეფანში გავლის დროს ტუსაღს თვალი უყო; ანდრეევს 100 სახრე, რადგან მან ციხის უფროს კითხვით მიმართა“. აი, რას წარმოადგენს დღეს რუსეთის ციხეები. აქედან ცხადია, რომ ტუსაღი, რომელიც კოვალიოვისთანა მთავრობის აგენტს ჩაუვარდება ხელში, კედელზე თავის გახეთქას ან ხიშტებზე წამოგებას ამჯობინებს, ვინემ ციხეში დარჩენას.

მე მაგონდება, რომ შეკითხვების კომისიაში განათლებული, პროკურორის ამხანაგი, სახ. დუმის წევრი ლიუცი თანამედროვე ცემა-ტყეპის წესს იცავდა თავგამოდებული. მე ისიც მაგონდება, რომ სახ. დუმის წევრმა მაკლაკოვმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ამ ტრიბუნიდან განაცხადა: მთავრობა განმარტოებული დარჩა და იძულებულია დაქირავებულ აზევებზე დაემყაროსო. ძალიან სცდება ბ. მაკლაკოვი. ჩვენ ვარწმუნებთ მაკლაკოვს, რომ მთავრობას დაქირავებულ აზევს გარდა ყავს მთელი რიგი ისეთი აზევებისა, რომელნიც თავისი სურვილით მიდიან მთავრობის სამსახურში და წარბ-შეუხრელად ამართლებენ თანამედროვე პოლიტიკურ მკვლელობას სატუსაღოებში. ამნაირათ, თქვენ ხედავთ, რომ პოლიტიკური შურის ძიების სისტემას და იმ ბარბაროსობას, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთის ციხეებში, ამართლებენ სწორეთ ისეთი პირები, რომელნიც პროკურორის ამხანაგებათ იწოდებიან და თავი მოაქვთ კანონების დამცველებათ. გასაკვირველიც არ არის, რომ დუმის წევრი ლიუცი უკანონო მოქმედებას ამართლებდეს. ამას წინათ მე გაზეთებში წავიკითხე, რომ ერთი პროკურორის ამხანაგი ამართლებდა ისეთ დამნაშავეს, რომელსაც მთელი რიგი დანაშაულობა ქონდა ჩადენილი, და რომლის დაცვაზე სასამართლოს თავმჯდომარემაც-კი უარი სთქვა,—ეს დამნაშავე გახლდათ უბნის ზედამხედველი ლუგოვსკი, რომლის საქმეც ხარკოვის სამოსამართლო პალატაშიირჩეოდა. იმ დროს, როდესაც რუსეთში ხალხის საუკეთესო შვილებს სდევნიან და აწამებენ, იუსტიციის სამინისტრო ამნისტიას უცხადებს შავ-რაზმელ ტერორისტებს. 1906 წლიდან—1908 წ. თებერვლამდე სასჯელისაგან გაანთავისუფლეს 426 შავ-რაზმელი ტერორისტი, რომლებსაც, სხვა ბოროტ-მოქმედებასთან ერთათ, ბრალი ედებოდათ ებრაელების დაწიოკებაში. ებრაელების დაწიოკების გამო სულ სასჯელი გადაუწყვიტეს 1,075 კაცს, მაშასადამე, დღემდე იუსტიციის სამინისტროს გაუნთავისუფლებია ამ დამნაშავეთა 39 პროც. ეს კიდევ ცოტაა. იგივე იუსტიციის მინისტრი სასჯელისაგან განსათავისუფლებლათ ადგენს პირველი, სახ. დუმის წევრის გერცენშტეინის მკვლელებს, იუსკევიჩ კრასკოვსკის და პოლოვნევს და პასუხის გებაში არ აძლევს დუბროვინს. იგივე იუსტიციის მინისტრი თავგამოდებით ითხოვდა, რომ სასჯელისაგან გაენთავისუფლებიათ სახ. დუმის წევრი პურიშკევიჩი, რომელმაც საზიზღარი შეურაცხყოფა მიაყენა ყველასაგან პატივცემულ ფილოსოფოვას ქალს.

**თავმჯდ.** უმორჩილესათ გთხოვთ კერძო პირებს ნუ შეეხებით.

**კუზნეცოვი.** სახ. დუმის წევრი გუჩკოვი ამტკიცებდა, რომ რუსეთში კონსტიტუცია მტკიცდებაო, ჩვენ კი სულ წინააღმდეგს ვამჩნევთ; მტკიცდება არა კონსტიტუცია, არამედ—ადმინისტრატიული ძალმომრეობა. ციხეების უმთავრესი სამმართველოს უფროსი გვეუბნებოდა, რომ აუცილებლათ საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნული ჯამი 31,000,000 მან. უცვლელათ დარჩეს, რადგან ციხეების სანიტარული მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთო. შარშანაც გამოსთქვა დუმამ სურვილი, რომ ციხეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ ეს სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა, ტუსაღების აუტანელ მდგომარეობაში კი არავითარი ცვლილება არ მოუხდენიათ. სწორეთ შარშან, მას შემდეგ, რაც დუმამ ციხეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი გამოსთქვა, ტულის მოქალაქეებს შეეძლოთ დაენახათ ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე მიმავალი სოფლის ურემები, რომლებშიაც ერთი-ერთმანეთზე დაყრილი იყვნენ ჭუჭყითა და წვირით გამურული უსულ-დგმულო გვამები ტიფიანი ავადმყოფებისა. აი საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორი სანიტარული დახმარება ეძლევათ ტუსაღებს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ სატუსაღოების სანიტარული მდგომარეობისათვის გადადებული ფული დანიშნულებისამებრ არ იხარჯება. ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან აშკარათ სჩანს, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას არ შეუძლია დაამტკიცოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი ციხეების შესახებ. სოციალდემოკრატიული ფრაქცია ამ ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცემს ხმას და მოუწოდებს ყველას, ვისაც კი გული შესტკივა სამშობლოს პოლიტიკურ მონობისაგან განთავისუფლებისათვის, მხარი დაუჭიროს ჩვენს წინადადებას და ამ ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცენ ხმა. (მარცხნით ტაშის ცემა).

მაგალითი, რა თქმა უნდა, აქაც იჩენდა თავს. და აი, სწორედ ამ მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს—ხმოსნებმა გამგეობის შედგენილობითურთ იერიში მიიტანეს ელემენტარულ შკოლებზე. „მასწავლებლისთვის 800 მანეთი დიდია, ეს მინისტრის ჯამაგირია, მოგუკლოთ, ბატონებო, ცოტა შედავთი მივსცეთ ქალაქს“... ბევრი თუ ცოტა თათბირის შემდეგ მიიღეს განაჩენი: „შეუმცირდეს 3 პროცენტით ჯამაგირი, ვინც 600 მანეთიდან 800 მანეთამდე დებულობს, ხოლო 5 პროც.,—ვინც 800 მანეთზე მეტს დებულობს. ასე რომ, ელემენტარულ შკოლების გამგეები ნაცვლად 800 მანეთისა დებულობენ 750 მანეთს წმინდა ჯამაგირს, ე. ი. 50 მანეთით ნაკლებს და ბინას; მასწავლებლები—776 მანეთს;—ამ ფულში შედის 600 მ. ჯამაგირი და 176 მ. ბინის ქირა. ამავე დროს ბ-ნმა ამოსნებმა ხელ-უხლებთად დატოვეს 5010 მან., რომელიც ეძლევა ყოველ წლიურ დახმარებათ მთავრობის ქალთა გიმნაზიას, რომლის გამგეობაში არავითარი მონაწილეობა არა აქვს თავიანთ წარმომადგენელთა სახით თვითმართველობის ორგანოს, და რომელშიაც წარმოიდგინეთ, «ქართულ ენასაც არ ასწავლიან“. როცა მასწავლებლებს ჯამაგირს უკლებდენ, უნდა გაეხსენებიათ ხმოსნებს, რომ ბათუმის ქალაქის შკოლების მასწავლებლები ორ-ორ განყოფილებას ასწავლიან (გარდა პუშკინის სახ. შკოლისა). და ამ ნაირათ ორკეც შრომას დებულობენ იმ დროს, როცა ოფილისში, ქუთაისში და სხ. თითო განყოფილებას განსაკუთრებული მასწავლებელი ყავს, რაც უეჭველათ მეტ ხარჯებს თხოულობს ქალაქის მხრივ... ამას გარდა, ბათუმში გაცილებით უფრო სიძვირეა ნამეტურ სახლებისა, ვიდრე სხვა ქალაქებში, მაგ. ქუთაისში.

მიუხედავათ ასეთი გულგრილობისა თვითმართველობის მხრივ, პუშკინის პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს მდგომარეობის ენკენისთვიდან გაუხსნიათ პარალელური განყოფილება და ყოველდღე უსასყიდლო შრომას ეწევიან ოთხ-ოთხი გაკვეთილის მიცემით. თუმცა მასწავლებელთა კოლეგიას იმედი ქონია, რომ გამგეობასთან არსებული სასკოლო კომისია თავისას გაიტანდა და აღნიშნული განყოფილებისათვის საჭირო თანხას გამოადებინებდა საბჭოს, მაგრამ იმედი გაცრუებია.

უმჯობესი არაა, ქალაქმა მდაბიო მცხოვრებთა სულიერ მოთხოვნილებას და ღარიბი კლასის გათვითცნობიერების საქმეს მოახმაროს თავისუფალი ფული, ვიდრე აძლიოს იგი ათასობით ისეთს სასწავლებელს, სადაც მზარეულ „კუხარკის“ შვილებს ადგილი არ აქვს?!.

ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის მიერ გახსნილი საღამოს კურსები ძლიერ მწირადაა მოსწავლეებზე. თვიურათ კი 168 მანეთი იხარჯება. მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატება 15 კაცს. მიზეზი შეიძლება თვით გამგეობამ გამონახოს. ქუთ. სტუმარი.

## წერილი ხარკოვიდან.

ქ. ხარკოვში, როგორც მკითხველთ ეცოდინებათ, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს რამდენიმე კაცი გამოეყო; ამათ საკუთარი წრე შეადგინეს, ამ წრემ ახალი წრის სახელით უკვე დაიწყო მუშაობა,—გადაწყდა კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით კრება გაიმართოს, რომელზედაც თვით წრის წევრებს ევალებათ ქართულ ენაზე რეფერატების კითხვა. იკითხება აგრეთვე მოხსენებები სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

ხუთშაბათს, 4 მარტს ჩვეულებრივი კრება შესდგა. ეს კრება მით იყო საინტერესო, რომ რეფერატი უნდა წაკითხულიყო. ამ დღიდან ახალი წრის წევრთ დაიწყეს კულტურული მუშაობა. ყველანი მოუთმენლათ მოველოდით ამ დღეს, მოლოდინი არც გაგვიცრუვდა. სტუდენტმა მიხ. კინ—შვილმა მშვენიერი რეფერატი წაიკითხა „სწავლა-აღზრდის საქმეზე საქართველოში და საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილზე“. მეტათ ცოცხლათ დაგვისურათა რეფერენტმა «ჯეჯილის» ყოველ-მხრივი მნიშვნელობა; თუ რა პირობებშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში. შემდეგ გადავიდა „ჯეჯილზე“ აღნიშნა, თუ რა პირობებში უხდებოდა ამ ჟურნალს არსებობა, თუ როგორი ხელის შემშლელი იყვენ პოლიტიკური და ეკონომიური პირობები, ხალხის უვიცობა, საერთო გულ-გრილობა და სხვ. აღნიშნა ენერგიული მოღვაწეობა ან. წერეთლისა, როგორც „კვალის“ რედაქტორისა, „კვალის“ მნიშვნელობა ქართულ თავისუფალ აზროვნების განვითარებისა და ეკონომიურათ დაბეჩავებულ ქართველ მუშათა თვით-შეგნების საქმეში, მოიხსენია ნ. ჟორდანია, კაკი და განსვენებული ეგ. ნინოშვილი, საერთოთ ის წრე, რომელიც „კვალს“ ხელმძღვანელობდა. შემდეგ მან გაარჩია მასალები, რომელიც «ჯეჯილში“ იბეჭდებოდა დღიდან მის დაარსებისა. აღნიშნა ამ მასალების პედაგოგიური და მეცნიერული მნიშვნელობა ბავშვების აღზრდის საქმეში. აღნიშნა, რომ ამ ჟურნალში მისმა ენერგიულმა რედაქტორმა ქართველ მწერლობის ისეთ საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი, როგორნიც არიან: აკაკი, ვაჟა-ფშაველა, გომართელი, დუტუ მეგრელი, ეკ. გაბაშვილი, ცახელი, და სხვები. დამსწრეთა განუწყვეტელი ტაშისცემით და პირადი მადლობით დაჯილდოვეს რეფერენტი. რეფერენტს მიენდო აგრეთვე ადრესის შედგენა ან. წერეთლისთვის გასაგზავნათ. ხსენებული ადრესი „ახალ წრის“ წევრებმა 11 მარტის კრებაზე მოისმინეს, მოიწონეს და წრის გამგეობას მიანდვეს დანიშნულებისამებრ გაგზავნა.

11 მარტსავე გაიმართეს განსვენებულ ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „უცნაური სენის“ მთავარი მომქმედი პირები: ტასო და კოტე მამალაძე. გასამართლებამ მეტათ საინტერესო კამათი გამოიწვია. ბრალმდებელათ გამოვიდა სტუდ. მინა მარუაშვილი, დამცველებათ: ტასოის სტუდ. მ. კინ—შვილი, კოტე მამალაძისა—სტუდენტები ივ. ლორთქიფანიძე და ალ. ლოლაძე. მეტათ საინტერესო და საყურადღებო იყო, როგორც ბრალმდებელისა, ისე დამცველების სიტყვები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ტასოს პიროვნებამ. კამათმა მთელი ოთხი საათი გასტანა. კამათობდენ ქართულ ენაზე. სასამართლოს თავჯდომარეობდა სტუდ. კ. სულ-ძე. მოსამართლეებათ იყვენ სტუდ. ათ. ხარაბაძე და ზ. ბიგანოვი,—სტუდ კ. ჩიქოვანი. ნაფიცთ მსაჯულთ განაჩენი იმ დღესვე ვერ გამოიტანეს, ამიტომ განაჩენს ხუთშაბათს, 18 მარტს მოველით, ამ დღისთვის დანიშნულია აგრეთვე სტუდ. ი. ლორთქიფანიძის რეფერატი, „ეროვნობა და ტერიტორია“. შემდეგ ხუთშაბათისთვის დანიშნულია კ. სულ—ძის რეფერატი. „ბიუჯეტი და სახელმწიფო დუმა“. შემდეგისთვის მ. მარუაშვილი წაიკითხავს რეფერატს „ქალთა საკითხზე“. განზრახულია აგრეთვე რეფერატები ეკ. გაბაშვილზე, ნ. ბარათაშვილზე და სხვ. ამ ნაირათ, ქართველ სტუდენტთა ამ ნაწილმა ჯერ ჯერობით მაინც, შესაფერი შრომის უნარი გამოიჩინა მათთან შედარებით, რომელნიც ძველ სათვისტომოს ამშვენებდენ.

თამარო მარ—ლი.

## პროვინცია

**ს. ჩოჩხათი** (გურია). გასულ კვირას ადგილობრივ მთავრობის მამასახლისის განკარგულებით მოწვეული იყო სოფლის ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა დანჩხუთის ნაწილის ბოქაული. ბოქაულმა საზოგადოებას მიმართა შემდეგის სიტყვებით: ნაცვლად იმისა, რომ გვეგონა ჩვენის მეცადინეობით მოჭკვიანდებოდით და იმ ბრიყვულ მოძრაობას, რომელსაც თქვენ ახალთაობას ეძახით თავს დაანებებდით, თქვენ კიდევ ერთხელ არჩეულ „შემცდარ და სულელურ“ აზრს თავს არ ანებებთ, ხელს უწყობთ და ინახავთ მთავრობის მოწინააღმდეგე პირებს, ამიტომ უმაღლესი მთავრობის განკარგულებით დაჯარიმებული ხართ ხუთასი მანეთით, რომელიც უნდა გადაიხადოთ; ვიცი ამის გადახდა თქვენ არ გეძნელებათ, მაგრამ დღეს ეს იყო, ხვალ ათასით დაგაჯარიმებთ, ზეგ ორი ათასით და ასე ბოლომდის, როცა ადარავერი დაგრჩებათ და უკანასკნელ ლუკმა პურს ჯარიმებში გაუღებთ მაშინ დაინახავთ მთავრობის აზრი სჯობია, თუ იმ მატყუარების რომლებმაც თქვენ დაღუპვის კარამდის მიგიყვანათ. არავითარი თავის გამასამართლებელი საბუთი ხალხისაგან ბოქაულმა არ მიიღო. „მე ვიცი თქვენი ამბავი დაიწყებთ თავის მართლებას მტყუანი ხართ და ამიტომ ზედმეტათ მიმაჩნია თქვენთან საუბარიო“.

წელს ჩოჩხათის საზოგადოებაზე სხვა და სხვა ჩვეულებრივ გადასახადების დასაკმაყოფილებლათ როგორიცაა: მასწავლებლების ჯამაგირი, შკოლებისათვის შენობების დაქირავება, სამკურნალო მასწავლებლის შენახვა ქ. ოზურგეთში, მიწის ბაჟი, მწერლის, სტაროსტის და იასაულის ჯამაგირები და სხვა და სხვა. გაწერილია შვიდიათასი მანეთი. ამას გარდა საზოგადოება იხდის კიდევ წლიურათ, მთავრობის მამასახლისის და მისი სტრაჟნიკების შესანახათ 2,500 მანეთს ამას დავუმატოთ ღრამა ფული, და ზედ კიდევ ეს „ახალი“ ჯარიმა და ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა მდგომარეობაში იქნება საზოგადოება ჩაყენებული, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ყველა ამ გადასახადებს მათგან მოითხოვენ არა ნაწილ-ნაწილათ არამედ ერთათ, ოცი დღის განმავლობაში. ყველა ეს მოთხოვნილება მათ სიმინდის გაყიდვით უნდა დააკმაყოფილონ. ნახევარმა საჭმელი მჭადიც უნდა გაყიდოს მეტი გზა არ აქვს, ეს კარგათ იციან სუფსელმა სიმინდის მოვაჭრეებმა და ამის გამო უკლებენ სიმინდის ფასს. იმ დროს, როდესაც ჭუმათში და დანჩხუთში ფუთ სიმინდს ოთხ აბაზათ ყიდულობენ, აქ თოთხმეტ შაურს იძლევიან.

არა ერთხელ და ორხელ იყო აღნუსხული გაზეთის ფურცლებზე სახალხო სკოლების ინსპექტორის ბ-ნ მაჭავარიანის შეუსაბამო მოქმედება მასწავლებლების გადაყვან-გადმოყვანის საქმეში. არ ვიცი ბ-ნ მაჭავარიანს მარტო ჩოჩხათი ყავს მიზანში ამოღებული და მისი მასწავლებლები თუ სხვაგანაც ასე ემართება. კვირა ისე არ გაივლის, რომ რომელიმე სკოლაში (სულ აქ ექვსი პირველ-დაწყებითი სკოლაა ორ-ორ კლასიანი და ერთიც საქალებო) მასწავლებელი არ გამოსცვალოს და სხვა ვინმე უცხო არ დანიშნოს. დანიშნული პირი ერთ თვეს მერმედ მობრძანდება, ამ ხნის განმავლობაში ბავშვები უპატრონოთ არიან დარჩენილნი სკ. სუფსაში გამოსცვალა მასწავლებელი და მეორეს მოსვლამდი ორი თვე გავიდა. ს. ჯიხანჯირშიც ასე მოხდა. ახლა ს. ხაჯალიდან გადაიყვანა უთვილი მასწავლებელი. გადის ერთი თვე, მაგიერი არა ჩანს. ამას წინათ შემთხვევით ერთ აქაურ მოწაფეს ვკითხე,—ვინ არის თქვენი მასწავლებელი მეთქი: „რა ვიცი ბ-ნო, ამ ერთ წელიწადში სამი გამოიცვალეს ისე ჩქარა-ჩქარა, რომ მისი სახელის და გვარის დასწავლაც ვერ მოვასწარიო“.

არა მგონია, რომ ამგვარ პირობებში შეიძლებოდეს სწავლის ნორმალურათ დაყენება. საჭიროა ასეთ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს. გახუმტი.

**სად ალსტაფა.** მოკრივე ინჟინერი. ვინ არ იცის, რომ დღეს საზოგადოთ მუშების პიროვნება შელახულია და შეურაცხყოფილი. ყველა მშრომელი აბუჩათ ყავთ აგდებული. მიუხედავათ იმისა, რომ ყველა მუქთახორა მშრომელ ადამიანებისაგან გამოელიან სარჩო-საბადებელს. რკინის გზის მე-8 ნაწილის უფროსის (ინჟინერის) თანაშემწემ ბ-ნმა აკოფოვმა (ინჟინერია) ხელით შეეხო და სცემა პოდრ. დეკანოზიძის ქვის ოსტატ მუშა ბერძენს. იმისთვის, რომ რატომ ოცი კაცის ადგილს 25 არ მუშაობსო, თითქოს მუშის გადიდებულობა იყო მუშების რიცხვის მომატება, რომ სამუშაო მალე და ჩქარა გაეთავებინათ. ასეთივე შეურაცხყოფა მიაყენა რამდენიმე რემონტის მუშებსა და უფროს მუშას. გადიდელი.

**დ. ჩოხატაური.** 19 მარტს ოზურგეთიდან ამოვიდა გუბერნატორი, მაზრის უფროსის თანხლებით. დაათვალიერა ბაზარი, ადგილობრივი სააფთიაქო და კაზაკების ბინა და საღამოს ქუთაისში გაემგზავრა. ნიგოითელებისათვის გამოუცხადებია თუ მატარებელზე თავდამსხმელნი არადმოაჩინეთ, ათასი მანეთით დაგაჯარიმებთო.

— ამ ერთი კვირის წინათ აქ ქუთაისიდან ჩამოვიდა ორასამდე ცხენოსანი კაზაკი. ასი მეორე დღესვე ოზურგეთში გაემგზავრა, ხოლო ასი კი აქვე დარჩა საცხოვრებლათ.

— ამ დღეებში აქ მთელიან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს. ის ამ ჟამათ ქვემო გურიის ნაწილში აკეთებს რევიზიას. როგორც გადმოგვცეს, ორი ეკლესია უკვე დაუხურავს სხვადასხვა მიზეზების გამო.

— 14 მარტს, მოხდა ფარცხმის საზოგადოების ყრილობა. ყრილობაზე სხვათა შორის დასმული იყო საკითხი: მიეცეს თუ არა სახლის დასადგმელი მიწა ჩოხატაურში ახლათ გახსნილ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსო, სადაც უნდა აშენდეს ისეთი შენობა, რომელიც თეატრისთვისაც გამოდგება. საზოგადოებამ პირველათ უარი სთქვა, მაგრამ როცა განუმარტეს მათ თეატრისა და სამკითხველოს მნიშვნელობა და სარგებლობა, ხუთი ექვსი კაცის მეტი ყველა დასთანხმდა, მაგრამ სანამ ოქმი დაიწერებოდა ამ ხუთმა-ექვსმა კაცმა გასწიეს ხალხში აგიტაცია, რომ სამკითხველო ეს ხალხის დამღუპველია, ეგელავერი უბედურება და ხალხის გაღარიბება, ავაზაკობა და სხვა, ეს თურმე უველავერი სამკითხველოების ბრალი ყოფილა! მათი წყალობით ოქმზე მხოლოდ 26 კაცმა მოაწერა ხელი. ამ ოცდა ექვსი კაცს გადაწყვეტილი აქვს, თუ საზოგადოების უმეტესი ნაწილი არ მოაწერს ხელს ოქმზე, მაშინ მათ დაუთმონ თავიანთი ხვედრი მიწა სამკითხველოს შენობას. თუ ეს მოხდა, ე. ი. მიწა უფასოთ დაუთმეს, სამკითხველოს გამგეობას აზრათ აქვს ეხლავე შეუდგეს სახლის შენებას, რადგანაც ორას მანეთამდე ფული უკვე აქვთ.

— ფიქრობენ ადგილობრივი სამრევლო საქალებო სკოლა ორ-კლასიანათ გადააკეთონ და თან შენობაც ორ სართულიანი ააგონ. ადგილობრივმა ვაჭრებმა მღ. ბეს. დოლიძის მეთაურობით უკვე გაგზავნეს ხელმოწერილი თხოვნა უმაღლეს მთავრობასთან, რომლითაც თხოულობენ ორი ათას მანეთს დახმარებას, ხოლო ათას მანეთს სესხათ. —ლია.

## ღია წერილი

**ბ-ნ ალექსანდრე პავლეს ძე ნადირაძეს.**

მიუხედავათ იმისა, რომ კომისიის წევრებმა ბალახანის ქართულ სცენის მოყვარეთა ჯგუფის მონდობილობით არა ერთხელ მოგმართა თქვენ, რომ ჩაგვებარებიათ მისთვის გასული წლის ანგარიში სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებისა, რომლის დროსაც თქვენ ხაზინადრათ იყვნებოდით, დღემდის არ ჩაგიბარებიათ. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ გაზეთის საშუალებით უკანასკნელი წინადადება მოგცეთ, რომ ჩაგვაბაროთ ხსენებული ანგარიში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით სხვა საშუალებას მივმართოთ.

ბალახანის სცენის მოყვარეთა ჯგუფის კომისიის წევრნი: ა. დოლიძე, ს. კანდელაკი, ა. თეგზაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ მოსე წეროძეს, რომელმაც ქ. ბათომში შეაგროვა ნაცნობებ შორის ათი მ. 55 კ. სოფ. ამაღლების საქალებო სკოლის სასარგებლოთ. აქვე მოგვყავს შემომწირველთა სია: მ. ივ. წეროძემ, ივანე ანტონის ძე რელიგიონმა და ვლ. სალაყაიამ თითო მანეთი; ვლ. ზაპოროჟენკომ, გ. სოსელიამ, ბორ. აფაწარმე, ათ. პრან—მა, ვ. ფედოროვმა, კ. წკეპლაძემ, ხუს. აწანიძემ, პროკ. ტყეშელაიშვილმა და კ. სამანეიშვილმა ათ-ათი შაური; კოტე ქალანთაროვმა 40 კ.; მ. ზაიგულიანმა და პ. დონაძემ ექვს-ექვსი შაური, ანდრი ლოგოჩოვმა, კ. კალიშევსკიმ, კ. კოვალოვსკიმ, იზმაილოვსკიმ და ა. დავიდოვმა ხუთ-ხუთი შაური; ალ. გოლაჩოვმა, №№ და გ. ყულაევმა თითო აბაზი.

სასკოლო კომიტეტის მოვდობილობით მღ. **ბეს. დოლიძე და თეოფილე ჩიჩუა.**

„ახალი სხივის“ მე-3 ნ-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი დ. საჩხერიდან, რომელშიაც სხვათა შორის ვეხებოდი ადგილობრივი ახალი ექიმის პირადობას. ეს წერილი ჩემ მიერ გამოგზავნილი იყო მაშინ, როდესაც ბ. ექიმი სულ ახალი გადმოყვანილი იყო საჩხერის საავადმყოფოში; მე უდროვოდ მსჯავრი დავსდევი მის მოქმედებას და გამოვაცხადე გაზეთის ფურცლებზე: „ახალ ექიმს ჯერ თვალსაჩინო არა გაუკეთებია რა მის მეტი, რომ ცდილობს ბევრი ფული აიღოსო». მე შეცდომაში შემიყვანა ხალხის მითქმა-მოთქმამ, რაც წამ-და-უწუმ მესმოდა და სიმართლეს მოკლებული არ მეგონა და დამიწერია ზემოხსენებული სიტყვები. შემდეგ წერილის გამოგზავნისა აგერ ამდენი ხანი გავიდა, ყოველ დღე მოწამეა მთელი საზოგადოება მისი უანგარო მოღვაწეობის და მეც წინააღმდეგი აზრი შემიდგა ამ პატიოსან ადამიანზე. მეც სწორეთ ესრეთი მხრით გავეცანი მას და აშკარად შემიძლია ვაღვიარო, რომ ბ. ექიმი არ ყოფილა ღირსი იმ სიტყვებისა, რომელიც მე მის შესახებ მოვათავსე გაზ. «ახალ სხივში». მე კი შეცთომაში შევუყვანივარ ბოროტ ენეს. *)

მასწ. ა. ჩინჩალაძე.

*) რედაქცია სწუხს, რომ ბ. ა. ჩინჩალაძეს ის შეცდომაში შეუყვანია. საზოგადოთ კორესპონდენტმა და კერძოთ ბ. ჩინჩალაძემ უნდა იცოდეს, რომ მითქმა-მოთქმაზე აშენებულ კორესპონდენციებს ადგილი არ აქვს გაზეთში. ცნობები უნდა იყოს ფაქტებზე, სინამდვილეზე აშენებელი და არა ვილაცების «მითქმა-მოთქმაზე». რედ.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


# განცხადება

თფილისის

**საქონლის საბჟურის მუშათა არტელისადმი**

ორი თვე იქნება რაც, სამუშაოს ჩამომაშორეთ. მე თქვენ მოგთხოვეთ მასსიურ კრებაზე ამის მიზეზი აგეხსნათ, თქვენ ეს არ ინებეთ. რადგან უდანაშაულოთ ვარ სამუშაოს ჩამოშორებული, გიწვევთ საამხანაგო სამართალში. ჩემთვის საჭიროა ადრე გავიგო თქვენი პასუხი.

სილოვან კალანდაძე.

ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

**თესლეულობის მაღაზიაში**

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების **პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი.** მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—8)

კბილის

საექიმო კაბინეთი

**იოხველისა**

(„გაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით.

(100—33)

ჟურნალ „სხივის“ მკითხველთა

და ხელის მომწერთა საყურადღებოთ

რადგან ჟურნალი „**სხივი**“-ს გამოცემა დღეიდან ჩემზე გადმოვიდა, ჟურნალი კვლავ იწყებს გამოსვლას იმავ პროგრამით და იმავ შინაარსით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. მორიგი №12 გამოვა კვირას, 28 მარტს (თფილისში გაიყიდება შაბათ საღამოს, ხოლო პროვინციებში გაიგზავნება პარასკევს, 21 მარტს). დღეიდან ყოველივე წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:

Тифлисъ, типографія «Культура» Вельяминовская улица, Валеріану Михайловичу Биланову. ვსთხოვ, ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც რომელიმე ნომერი არ მიუღია შეგვატყობინოს, რომ ხელმეორეთ გავუგზავნოთ. წლიური ხელის მომწერლები ყველა ნომრებს უკლებლივ მიიღებენ პრემიებითურთ.

ვალერიან ბილანიშვილი. (0—3)

ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის

მაღაზია

**კ. ა. მაჭარაძისა და კ. ა. ჭეიშვილის**

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწვდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.

(0—7)